



საქართველოს საჯარო მოხელეთა პროფესიული  
შესაძლებლობების ზრდა გადაწყვეტილების მიღებასა  
და მოლაპარაკებების წარმართვის ტექნიკაში

პროფესიული განვითარების ტრენინგი  
ადამიანური რესურსების მართვაში

სტრატეგიული მართვა

11 ოქტომბერი  
2011

ექსპერტები: ჰანს ნორგრენი, SIPU International

ევა ფალკი, ადამიანური რესურსების მართვის  
კონსულტანტი, SIPU International

---

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი

ჩიტაძის ქ. 3ა, თბილისი

---

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა არის მიდგომა, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ორგანიზაციამ თავის მიზანს ადამიანური რესურსის საშუალებით სტრატეგიული მართვის ინსტრუმენტებისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის ინტეგრირებული მეთოდების გამოყენებით. ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა მხოლოდ დაგეგმვას არ გულისხმობს. ის მოიცავს სტრატეგიის შესრულებას, ასევე ადამიანური რესურსების მართვის სფეროში ჩართული პროფესიონალების სტრატეგიულ ქცევას ორგანიზაციის სხვა მიმართულებების ხელმძღვანელებთან. მათი ყოველდღიური ქცევა უნდა უზრუნველყოფდეს ორგანიზაციის მიზნის მიღწევასა და ორგანიზაციის ფასეულობების პრაქტიკაში გატარებას.

ტრენინგის მიზანია მონაწილეებს გააცნოს:

- ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის მიზანი და მათი განხორციელების გზები;
- „ადამიანური კაპიტალის მართვის“ კონცეფცია და ტერმინის მნიშვნელობა;
- პრაქტიკული მაგალითები ადამიანური რესურსების მართვის სფეროდან;
- ადამიანური რესურსების მართვის გავლენა სამუშაოს შესრულებაზე.

## პროგრამა

### სამშაბათი, 11 სექტემბერი, 2011

10:00	შესავალი
10:30	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის მიზანი და პრინციპები
11:00	ყავა, ჩაი
11:10	ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიების განხორციელება - კონკრეტული მაგალითები
12:40	ადამიანური კაპიტალის მართვის საფუძვლები
13:10	სადილი
14:10	ადამიანური რესურსების მართვის ფუნქცია და როლი
14:40	ადამიანური რესურსების მართვის სინამდვილე - კონკრეტული მაგალითები
16:10	ყავა, ჩაი
16:20	სამუშაოს შესრულებაზე ადამიანური რესურსების მართვის გავლენის განხილვა
17:20	კორპორაციული სოციალური ანგარიშვალდებულების პრინციპები (CSR)
17:50	შეჯამება და სემინარის დასრულება